



ბანათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი  
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის  
დასკვნა

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ  
„ტრანსპორტი“  
ბაკალავრიატი

სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი - 16, 19, 20 აპრილი 2021 წელი.

დასკვნის წარდგენის თარიღი - 21 ივნისი 2021 წელი.

თბილისი

**ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ<sup>1</sup>**

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი საჯარო სამართლის იურიდიული პირი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	211349192
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	<b>ტრანსპორტი</b> <b>Transport</b>
უმაღლესი განათლების საფეხური	პირველი (ბაკალავრიატი)
მისანიჭებელი კვალიფიკაცია <sup>2</sup>	ტრანსპორტის ინჟინერიის ბაკალავრი / Bachelor of Transport Engineering
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	ძრავიანი სატრანსპორტო საშუალებები, გემები და საჰაერო ხომალდები / Motor vehicles, ships and aircraft, 0716
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	-
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული  საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2012 წლის 24 სექტემბრის გადაწყვეტილება № 425

**ექსპერტთა ჯგუფის წევრები**

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ჯუმბერ ჩოგოვამე, სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ზაზა ჟორჟოლიანი, სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

<sup>1</sup> ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის დაწესებულებ(ებ)ისათვის

<sup>2</sup> უცხო ქვეყნის დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მხევარ გოგილავა, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს სატრანსპორტო ნაკადების ავტომატიზებული მართვის სამსახურის უფროსი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თამარ გვიანიშვილი, ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თამარ თავხელიძე, გრიგოლ რობაქიძის საერთაშორისო უნივერსიტეტის საერთაშორისო ინტეგრაციის ცენტრის დირექტორი, დოქტორანტი, საქართველო

### აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამებელი დასკვნა

#### ▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „ტრანსპორტი“ (შემდგომში - პროგრამა) შეესაბამება საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტის (შემდგომში - უნივერსიტეტი) მისიას და მიეკუთვნება დარგს, რომელშიც უნივერსიტეტს აქვს საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მრავალწლიანი გამოცდილება და ტრადიცია.

2012 წლის 24 სექტემბერს, აკრედიტაციის საბჭოს N425 გადაწყვეტილებით პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია. მომდევნო პერიოდში პროგრამაში განხორციელდა რიგი ტექნიკური და შინაარსობრივი ცვლილება. 2018 წელს პროგრამამ განიცადა მოდიფიცირება - სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2018 წლის 02 აპრილის N01-05-04/95 დადგენილებით. პროგრამას შეეცვალა სტრუქტურა, პროგრამიდან ამოღებული იქნა რამდენიმე მოდული („სპეციალური ტექნოლოგიური ტრანსპორტი“ და „ლიანდაგის მონიტორინგი“), დაემატა არჩევითი სასწავლო კურსები და თავისუფალი კომპონენტები და სხვ. 2020 წელს, დარგში არსებული საჭიროებების შესწავლის საფუძველზე, განისაზღვრა პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები, პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი. აკრედიტაციის მიღების მიზნით წარმოდგენილი პროგრამა შედგენილია „საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების წესის“ (სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 23 სექტემბრის №01-05-04/261 დადგენილების დანართი) საფუძველზე. მისი ძირითადი მასხიათებლებია:

- პროგრამის მოცულობა: 240 ECTS-ის კრედიტი (ერთი კრედიტი = 25 სთ);
- სწავლების ხანგრძლივობა: 4 აკადემიური წელი (8 სემესტრი);
- პროგრამის სტრუქტურა და კომპონენტები: პროგრამა შედგება სასწავლო კომპონენტებისაგან (არჩევით და სავალდებულო სასწავლო კურსები; სავალდებულო სატრანსპორტო საწარმოო პრაქტიკა, სავალდებულო საბაკალავრო ნაშრომი), მის სტრუქტურაში გათვალისწინებულია თავისუფალი კომპონენტი, სწავლის ძირითადი სფეროს კომპონენტი და ორი კონცენტრაცია („საავტომობილო ტრანსპორტი“, „სარკინიგზო ტრანსპორტი“).

#### ▪ აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

აკრედიტაციის ვიზიტი (შემდგომში - ვიზიტი) განხორციელდა სსიპ - განათლების ხარისხის ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) დირექტორის ბრძანებით №321370 5.04.2021წ.

შექმნილი აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის (შემდგომში - ექსპერტთა ჯგუფი ან ექსპერტები) მიერ. აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება განხორციელდა წინასწარ შეთანხმებული ვიზიტის განრიგის მიხედვით, კომბინირებული ფორმით: 16.04. - პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება (ადგილზე ვიზიტით და დისტანციური ვიდეო კომუნიკაციის საშუალებების გამოყენებით), 19.04-20.04 - უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან და დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირებთან გასაუბრება (დისტანციური ფორმით).

ვიზიტის დაწყებამდე ექსპერტებს მიეწოდათ პროგრამის თვითშეფასების ანგარიში და მისი დანართები, განემარტათ მათი უფლება-მოვალეობები და დაზუსტდა ვიზიტის დღის წესრიგთან დაკავშირებული საკითხები. ასევე, ჩატარდა ჯგუფის სამუშაო შეხვედრები: ჯგუფის თავმჯდომარემ გადაანაწილა წევრებზე კონკრეტული სტანდარტები/დავალეობები, მოხდა მოსაზრებების ურთიერთგაზიარება. აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება განხორციელდა ექსპერტთა ჯგუფის სრული შემადგენლობით: ექსპერტებმა შეისწავლეს უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები, გაესაუბრნენ უნივერსიტეტის წარმომადგენლებს და ვიზიტის დღის წესრიგით გათვალისწინებულ სხვა პირებს. ვიზიტის ბოლოს ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ უნივერსიტეტის წარმომადგენლებს გააცნო ძირითადი წინასწარი მიგნებები.

საკრედიტაციო ვიზიტი წარიმართა საქმიან გარემოში. უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ გამოავლინა მაქსიმალური მობილიზება და უზრუნველყო ყველა პირობა იმისთვის, რომ ექსპერტთა ჯგუფს მიეღო სრულყოფილი ინფორმაცია პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დასადგენად.

ექსპერტთა ჯგუფმა განიხილა უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პასუხები საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „ტრანსპორტი“ სააკრედიტაციო შეფასების დასკვნის პროექტზე. უნივერსიტეტის ადმინისტრაცია და პროგრამის საინიციატივო ჯგუფი სრულად იზიარებს ექსპერტთა დასკვნას ხუთივე სააკრედიტაციო სტანდარტის მოთხოვნებთან მიმართებაში, ხოლო ქვესტანდარტის ზოგიერთ რეკომენდაციასთან მიმართებაში არსებობს აზრთა სხვადასხვაობა, რომელთა შესახებ, ნაწილი დასკვნაშია მითითებული და აუცილებლობის შემთხვევაში, დანარჩენს ზეპირი მოსმენისას გააცნობთ ექსპერტთა ჯგუფის შეჯერებულ აზრს.

▪ **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

- სტანდარტი 1 - საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. სტანდარტის 1.1 კომპონენტი შეფასდა როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, ხოლო 1.2 კომპონენტი როგორც მეტწილად შესაბამისია მოთხოვნებთან;
- სტანდარტი 2 - სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. სტანდარტის 2.1, 2.2, 2.4, 2.5 და 2.6 კომპონენტები შეფასდა როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, ხოლო სტანდარტის 2.3 კომპონენტი შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
- სტანდარტი 3 - სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. ამ სტანდარტის კომპონენტი 3.1. შეფასდა როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, ხოლო ამ სტანდარტის კომპონენტი 3.2 არ შეფასდა, რადგან შესაფასებელი პროგრამა ბაკალავრიატის საფეხურისაა;

- სტანდარტი 4 - სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. ამ სტანდარტის 4.1, 4.2 და 4.4 კომპონენტები შეფასდა როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, ხოლო სტანდარტის 4.3 კომპონენტი შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.
- სტანდარტი 5 - სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. ამ სტანდარტის 5.1 და 5.3. კომპონენტები შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, ხოლო სტანდარტის 5.2 კომპონენტი შეფასდა როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

▪ **რეკომენდაციები**

1. კონცენტრაციის შესაბამისი სწავლის შედეგი უფრო მკაფიოდ იქნას გაწერილი „სწავლის სფეროების კლასიფიკატორის“ (მ.6, პ.7) მიხედვით;
2. საჭიროა მოხდეს საბაკალავრო ნაშრომის მიზნებისა და შინაარსის ურთიერთშესაბამისობაში მოყვანა (მიზნებში მითითებულია მხოლოდ სარკინიგზო ტრანსპორტთან დაკავშირებული ასპექტები მაშინ, როდესაც შინაარსში ცალცალკეა განხილული სარკინიგზო და საავტომობილო ტრანსპორტის თემატიკა);
3. უნივერსიტეტმა უზრუნველყოს მოძველებული მატერიალურ-ტექნიკური რესურსის განახლება და ლაბორატორიების აღჭურვა შრომისა და უსაფრთხოებისათვის საჭირო ელემენტებით;
4. კანონმდებლობასთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია ცვლილებების შეტანა უნივერსიტეტში მოქმედ „სტუდენტთა კონტინგენტის ფორმირებისა და მობილობის ინსტრუქციაში“ (განათლების აღიარებასთან დაკავშირებულ ჩანაწერში);
5. პერიოდულად უნდა მოხდეს პროგრამის დადარება უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან, თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობის მიზნით;
6. ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით პერიოდულად უნდა მოხდეს პროგრამის ყველა ასპექტის (მათ შორის, პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური რესურსის საკმარისობის, მდგომარეობის და უსაფრთხოოდ გამოყენების) კომპლექსური, მრავალმხრივი შეფასება, პროგრამის მდგრადობისა და ეფექტიანობის დადგენა, წლების მიხედვით პროგრესის შესწავლა-ანალიზი დაწესებულებაში არსებული მიდგომისა და მექანიზმების (მაგ., SWOT-ანალიზი, PDCA-პრინციპი და სხვ.) სრული გამოყენებით, რომლებსაც თავად დაწესებულება ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით განხორციელებული შეფასების შედეგების ერთიან დოკუმენტში ასახვა და დაინტერესებული მხარეებისთვის გაცნობა.

▪ **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

1. სასურველია კურიკულუმში მოცემული იყოს მექანიზმი (ინსტრუქცია), რომელიც დაეხმარება სტუდენტს/აბიტურიენტს არჩევანის სწორად ფორმირებაში;
2. სასურველია პროგრამის საგნობრივ დატვირთვაში და სილაბუსში მითითებული საბაკალავრო ნაშრომის წინაპირობები მოყვანილი იქნას შესაბამისობაში;
3. სასურველია უფრო მეტად მოხდეს დიფერენცირება სილაბუსებში არსებული თეორიული და პრაქტიკული დავალების/ამოცანის შეფასების კრიტერიუმებში;
4. პროგრამის განვითარების მიზნით სასურველია უნივერსიტეტმა განახორციელოს მეტი აქტივობა დაფინანსების დამატებითი წყაროების მოძიებისათვის;

5. პროგრამის ხარისხის შეფასებისა და განვითარების პროცესი უნდა მიმდინარეობდეს დაწესებულების რეგულაციებით გათვალისწინებული მიდგომებისა და მექანიზმების სრული გამოყენებით, განსაკუთრებით პროგრამის მდგრადობისა და ეფექტიანობის სისტემატური და კომპლექსური შეფასება-ანალიზის მიმართულებით.
6. მიზანშეწონილია პროგრამის გარე შეფასება განხორციელდეს წინასწარ განსაზღვრული პერიოდულობით, ამ პროცესში როგორც დარგობრივი ორგანიზაციების, ისე უცხოეთის უსდ-ების ჩართულობით.
7. მიზანშეწონილია გაიზარდოს გამოკითხვებში მონაწილე პირთა რაოდენობა, ასევე გადაიხედოს კითხვარებში რესპოდენტებისათვის დასმული კითხვებისა და შესაძლო პასუხების ფორმულირება პროგრამის თავისებურებების გათვალისწინების მიზნით.

▪ **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

GTU-tables, რომელსაც აქვს: ინტერფეისის ენის შეცვლის (ქართული, ინგლისური, რუსული); ლექტორის სახელისა და გვარის მიხედვით სასწავლო ცხრილის მოძებნის; ცხრილის დამახსოვრების; ცხრილის განახლების შესახებ ინფორმაციის მიღების; ლექციების განრიგის ავტომატური შეხსენების ფუნქციის დაყენების; ავტორიზებული მომხმარებლისთვის ცხრილის ავტომატურ რეჟიმში ჩვენების შესაძლებლობა.

▪ **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

# პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

## 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

<p><b>1.1 პროგრამის მიზნები</b></p>
<p>პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.</p>
<p><b>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</b></p> <p>ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის „ტრანსპორტი“ (შემდგომში - პროგრამა) მიზანია:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>➤ მოამზადოს ტრანსპორტის სფეროს ფართო თეორიული ცოდნითა და პრაქტიკული უნარებით აღჭურვილი სპეციალისტი სახმელეთო სატრანსპორტო საშუალებების (საავტომობილო, სარკინიგზო) ხარვეზების დიაგნოსტიკის პროცესში მონაწილეობისათვის;</li> <li>➤ შესძინოს კურსდამთავრებულს სახმელეთო სატრანსპორტო საშუალებების შენარჩუნების, რემონტისა და მომსახურების სამუშაოების, დადგენილი პროცედურებისა და მითითებების შესაბამისად, წარმართვის უნარები შრომის, მოძრაობისა და ეკოლოგიური უსაფრთხოების პრინციპების გათვალისწინებით;</li> <li>➤ ქვეყანაში ტრანსპორტის პრიორიტეტულობისა და შრომის ბაზრის მოთხოვნათა გათვალისწინებით შეუქმნას კურსდამთავრებულს მყარი საფუძველი სწავლის შემდგომ საფეხურზე გაგრძელებისა და უწყვეტი პროფესიული განვითარებისთვის.</li> </ul> <p>პროგრამის მიზანი შეესაბამება უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიას და დარგის თანამედროვე მოთხოვნებს, არის რეალისტური და მიღწევადი და ნათლად ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვთ მათ დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.</p>
<p><b>მტკიცებულებები/ინდიკატორები</b></p> <ol style="list-style-type: none"> <li>1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მისია;</li> <li>2. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგიული გეგმა 2018-2024 წწ.;</li> <li>3. სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის დებულება;</li> <li>4. სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის მისია;</li> <li>5. ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა „ტრანსპორტი“ (კურიკულუმი);</li> <li>6. ინტერვიუს შედეგები.</li> </ol>
<p><b>რეკომენდაციები</b></p> <p>-</p>
<p><b>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</b></p> <p>-</p>
<p><b>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</b></p> <p>-</p>
<p><b>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</b></p> <p>-</p>

## შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

### სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაშია პროგრამის მიზანთან, შინაარსთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან, მოიცავს ცოდნასა და გაცნობიერებას, უნარებს, პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, არის მკაფიოდ ჩამოყალიბებული, რეალისტური, მეტწილად გაზომვადი და მიღწევადი. მიზნებიდან გამომდინარე პროგრამით დაგეგმილია 8 შედეგის მიღწევა, კერძოდ:

- განმარტავს თანამედროვე სატრანსპორტო საშუალებების კონსტრუქციებს და მათი მექანიზმებისა და სისტემების მუშაობის პრინციპებს;
- ჩამოთვლის თანამედროვე სახმელეთო სატრანსპორტო საშუალებების ხარვეზების დიაგნოსტიკის, შენარჩუნების, რემონტისა და მომსახურებისათვის საჭირო ტექნიკურ საშუალებებს;
- სტანდარტული მეთოდებით განსაზღვრავს სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობისა და ეკოლოგიური უსაფრთხოების არსებულ პრობლემებს და მათი გადაჭრის შესაძლო გზებს;
- მითითებების შესაბამისად ამუშავებს სატრანსპორტო საშუალებების ხარვეზების დიაგნოსტიკის, რემონტისა და მომსახურების რთული და გაუთვალისწინებელი პრობლემების გადაჭრისათვის, ცალკეულ ორგანიზაციულ-ტექნიკურ ამოცანებს;
- წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად, შრომის უსაფრთხოების წესების გათვალისწინებით, ადგენს პრაქტიკული ხასიათის პროექტს სატრანსპორტო საშუალებების სერვისის ობიექტის საწარმოო უბნის ორგანიზებისათვის;
- სტანდარტული და ზოგიერთი უახლესი მეთოდის გამოყენებით აფასებს სატრანსპორტო საშუალებების ტექნიკურ მდგომარეობას;
- შემოქმედებითად იყენებს ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიურ საშუალებებს სპეციალისტებთან და არასპეციალისტებთან, არსებული პრობლემური საკითხების განხილვისა და გადაჭრის გზების ძიებისათვის;
- ადგენს საკუთარ შემდგომი სწავლის გაგრძელების და უწყვეტი პროფესიული განვითარების საჭიროებებს.

პროგრამის კურიკულუმიდან ჩანს რომ, პროგრამა აგებულია იმგვარად, რომ სტუდენტი იღებს მისანიჭებელ კვალიფიკაციისათვის საჭირო ცოდნას - პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსები თანმიმდევრულია და მეტწილად უზრუნველყოფს საბოლოო შედეგზე გასვლას. ამავდროულად, სასურველია დაინტერესებულ მხარეთა უფრო აქტიური ჩართულობა პროგრამის გასაუმჯობესებლად, ხოლო მეტი გამჭირვალეობის მიზნით თითოეული კონცენტრაციის შესაბამისი სწავლის შედეგი უფრო მკაფიოდ ყოფილიყო გამოკვეთილი.

სწავლის შედეგების შეფასების სქემაში მოცემულია შეფასების რუბრიკები და სამიზნე ნიშნულები. სწავლის შედეგების პირდაპირი შეფასება მოიცავს თითოეული სწავლის შედეგის



დაგეგმვას, შეფასებას, ანალიზს, პერიოდულ მონიტორინგს და განვითარების მეთოდებსა და მიდგომებს. როგორც მოწოდებული მასალებიდან, ასევე საექსპერტო ჯგუფის უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან შეხვედრის ინტერვიუს შედეგებიდან გამოიკვეთა, რომ პროგრამის შეფასებაში აქტიურად იყვნენ ჩართულნი აკადემიური პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები. უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ და პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან ინტერვიუდან დადგინდა, რომ პროგრამის სწავლის შედეგების ჩამოყალიბება მოხდა კანონმდებლობის მოთხოვნებზე და სტუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილებაზე დაყრდნობით, ამ პროცესში გათვალისწინებული იყო აკადემიური და მოწვეული პერსონალის მოსაზრებები, სტუდენტების, კურსდამთავრებულების და დამსაქმებლების გამოკითხვის შედეგები. პროგრამის განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან საფუძველს წარმოადგენს „მანქანათა მექანიკის ინსტიტუტისა და სს „საქართველოს რკინიგზა“-ს სავაგონო მეურნეობის დეპარტამენტის დარგის სპეციალისტების მიერ გამოთქმული მოსაზრებები.

- მტკიცებულებები/ინდიკატორები**
1. ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა „ტრანსპორტი“ (კურიკულუმი);
  2. სწავლის შედეგების რუქა (დანართი 1 და 2);
  3. სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი;
  4. საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების წესი;
  5. დამსაქმებლების გამოხმაურებები;
  6. ინტერვიუს შედეგები.

**რეკომენდაციები**

1. კონცენტრაციის შესაბამისი სწავლის შედეგი უფრო მკაფიოდ იქნას გაწერილი „სწავლის სფეროების კლასიფიკატორის“ (მ.6, პ.7) მიხედვით.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

-

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში)**

-

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

-

- შეფასება**
- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
  - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
  - ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
  - არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა**

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	<input checked="" type="checkbox"/>			

**2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა**

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

**2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები**

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის მფლობელს. პროგრამაზე ჩარიცხვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით - ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე ან ერთიანი ეროვნული გამოცდის გავლის გარეშე „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის №224/ნ ბრძანების შესაბამისად. პროგრამაზე სწავლის გაგრძელება შეუძლიათ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის ბრძანება №10/ნ-ით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ შესაბამისად მობილობის წესით ჩარიცხულ სტუდენტებს. ასევე, პროგრამაზე სწავლის გაგრძელება შესაძლებელია შიდა მობილობით, რომლის პროცედურა განისაზღვრება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მარეგულირებელი წესით.

ინფორმაცია პროგრამის შესახებ საჯარო და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის: სტუ-ს ვებგვერდზე სიახლეების ველში, ასევე სწავლების დეპარტამენტის გვერდზე ხდება ინფორმაციის განთავსება პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურების შესახებ. ფაკულტეტის ვებგვერდზე, ასევე, განთავსებულია პროგრამა და შესაძლებელია როგორც პროგრამაზე დაშვების პირობების, ასევე პროგრამის შინაარსობრივი მხარის გაცნობა. თუმცა აღსანიშნავია, რომ პროგრამის კურიკულუმში არ იკითხება დაშვების წინაპირობების შესახებ სრული ინფორმაცია, არ არის მითითებული უცხო ქვეყნის მოქალაქეების ჩარიცხვა როგორც ხდება.

წარმოდგენილი სტატისტიკური ინფორმაციით დგინდება, რომ პროგრამაზე სწავლის მსურველთა რაოდენობა თანდათანობით მცირდება. მიუხედავად პროგრამის შედარებით მცირეკონტიგენტობისა, მის მდგრადობას საფრთხე არ ექმნება, რადგან უნივერსიტეტს იგი მიაჩნია პრიორიტეტულ მიმართულებად და რისკის არსებობის შემთხვევაში განხორციელდება საერთო ბიუჯეტიდან მისი დაფინანსება. პროგრამის განმახორციელებლებთან გასაუბრების დროს გაირკვა, რომ უნივერსიტეტის მიერ გაანალიზებულია აღნიშნული ფაქტის მიზეზები: პირველი - თავიდანვე ტრანსპორტის მიმართულება ვერ მოხდა სახელმწიფო დაფინანსების ჩამონათვალში და მეორე - იმ აბიტურიენტთა სიმცირე, რომლებიც მისაღებ გამოცდებზე ირჩევენ მათემატიკის ჩაბარებას.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

1. ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა „ტრანსპორტი“;
2. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების შესახებ“;
3. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“;
4. სასწავლო პროცესების მარეგულირებელი წესი;
5. ინტერვიუები უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, სტუდენტებთან;

6. უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ოფიციალური ვებგვერდი.
<b>რეკომენდაციები-</b>
<b>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</b>
<b>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში)</b>
-
<b>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</b>
-
<b>შეფასება</b>
<input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

<b>2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი</b>
<p>პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.</p>
<b>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</b>
<p>პროგრამა შემუშავებულია საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში მოქმედი „საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის“ შესაბამისად. პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი და მოცულობა შეესაბამება სწავლების საფეხურს, მისანიჭებელ კვალიფიკაციას. პროგრამის შინაარსი შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის ბაკალავრიატის საფეხურისთვის განსაზღვრულ მოთხოვნებს და უზრუნველყოფს შესაბამისი სწავლის შედეგების მიღწევას.</p> <p>პროგრამის სასწავლო გეგმა აგებულია ლოგიკურად და თანმიმდევრულად, მისანიჭებელი კვალიფიკაციისთვის რელევანტური სასწავლო კურსების კომბინაციით და ვითარდება მარტივიდან კომპლექსურისკენ: გაცნობითი ხასიათისა და საბაზისო კურსებს მოსდევს დარგის შესაბამისი სასწავლო კურსები. პროგრამა უზრუნველყოფს მისი შემადგენელი ყველა კომპონენტის ლოგიკურ კავშირს შემდგომ კომპონენტზე ადეკვატური დაშვების წინაპირობით. უზრუნველყოფილია საშუალო აკადემიური მიღწევების მქონე სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობა. პროგრამა ითვალისწინებს არჩევითობას. პროგრამა შედგენილია ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემით (ECTS), 1 კრედიტი შეადგენს 25 საათს, რომელშიც იგულისხმება როგორც საკონტაქტო, ასევე დამოუკიდებელი საათები. პროგრამის ხანგრძლივობაა 4 წელი (8 სემესტრი). ტრანსპორტის ინჟინერიის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მინიჭებისთვის აუცილებელია პროგრამის პირობების შესრულებით არანაკლებ 240 კრედიტის მიღება. პროგრამა მოიცავს:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>➤ ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები - 192 კრედიტი;</li> <li>➤ თავისუფალი კომპონენტები - 12 კრედიტი;</li> <li>➤ სატრანსპორტო საწარმოო პრაქტიკა - 6 კრედიტი;</li> <li>➤ ორი კონცენტრაცია (სავტომობილო ტრანსპორტი და სარკინიგზო ტრანსპორტი); თითოეულის სასწავლო კურსები - 24-24 კრედიტი; საბაკალავრო ნაშრომს - 6კრედიტი.</li> </ul> <p>სასურველია პროგრამის კურიკულუმში მოცემული იყოს ჩანაწერი იმის შესახებ თუ რა მექა-</p>

ნიშნით შესაძლებელია პროგრამის შესახებ ინფორმაციის მიღება, რაც მოეხმარება აბიტურიენტებს/სტუდენტს არჩევანის სწორად ფორმირებაში.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

1. საგანმანათლებლო პროგრამა „ტრანსპორტი“;
2. პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
3. სასწავლო პროცესების მარეგულირებელი წესი;
4. ინტერვიუები უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, სტუდენტებთან;

**რეკომენდაციები**

-

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

1. სასურველი იქნებოდა კურიკულუმში მოცემული იყოს მექანიზმი (ინსტრუქცია), რომელიც დაეხმარება სტუდენტს/აბიტურიენტს არჩევანის სწორად ფორმირებაში.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში)**

-

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

-

**შეფასება**

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**2.3. სასწავლო კურსი**

- ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/ კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

პროგრამის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება ბაკალავრიატის დონეს. პროგრამაში არსებული ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შესაბამისობაშია პროგრამის სწავლის შედეგებთან, რაც წარმოდგენილია პროგრამის სწავლის შედეგების და სასწავლო კურსების სწავლის შედეგების შესაბამისობის რუქის სახით.

თითოეული სასწავლო კურსის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება დაგეგმილ სწავლის შედეგებს. დამოუკიდებელ და საკონტაქტო საათების თანაფარდობა ადეკვატურია და მასში გათვალისწინებულია სასწავლო კურსის სპეციფიკა.

საკონტაქტო საათების რაოდენობა და სწავლა-სწავლების მეთოდები (ლექცია, პრაქტიკული, სემინარი, ლაბორატორია და სხვა) შეესაბამება ამ კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს, სწავლის მეთოდები კი ხელს უწყობს სწავლის შედეგის მიღწევას. სასწავლო კურსის თითოეული სწავლის შედეგის მიღწევა ფასდება მიმდინარე აქტივობების, შუასემესტრული და დასკვნითი/დამატებითი გამოცდის კომპონენტებით, რომელთა შორის თანაფარდობა არის 30%,

30%, 40%. ყველა სილაბუსში ასახულია სწავლის შედეგები და შეფასების რუბრიკები. პრიორიტეტულად გამოიყენება ტესტური, აქტივობის, ზეპირი გამოკითხვის, დისკუსიის, ქვიზის, დავალების შესრულების რუბრიკები.

სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია დარგის აქტუალურ მიღწევებზე, რითაც უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. უახლესი ლიტერატურა ხელმისაწვდომია სტუ-ის ბიბლიოთეკაში. პერიოდულად ხდება სილაბუსებში მითითებული ლიტერატურის განახლება და სასწავლო/პრაქტიკული/ლაბორატორიული და სალექციო კურსების დახვეწა.

სილაბუსების განხილვის შედეგად დადგინდა, რომ: სასწავლო კურსების სილაბუსებში არ არის მითითებული თუ რომელ კვირებში ტარდება შუასემესტრული და დასკვნითი/დამატებითი გამოცდები; საბაკალავრო ნაშრომის მიზნებში მითითებულია მხოლოდ სარკინიგზო ტრანსპორტთან დაკავშირებული ასპექტები, ხოლო საბაკალავრო ნაშრომის შესრულების ეტაპებში სარკინიგზო ტრანსპორტის გარდა ასევე გათვალისწინებულია საავტომობილო ტრანსპორტის თემატიკაც, გარდა ამისა, პროგრამის საგნობრივ დატვირთვაში საბაკალავრო ნაშრომის წინაპირობებში მითითებულია „სწავლის ძირითადი სფეროს შესაბამისი სასწავლო კურსები 204 კრედიტის მოცულობით“, ხოლო სილაბუსში კი სასწავლო კურსები: „სატრანსპორტო საწარმოო პრაქტიკა“, „ელექტრული ტრანსპორტი“, „აკადემიური წერის ელემენტები“.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

1. ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა „ტრანსპორტი“;
2. სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები);
3. სასწავლო კურსების სწავლის შედეგების რუქა (დანართი 1 და 2);
4. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ვებგვერდი;
5. ინტერვიუები უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან.

**რეკომენდაციები**

1. საჭიროა მოხდეს საბაკალავრო ნაშრომის მიზნებისა და შინაარსის ურთიერთშესაბამისობაში მოყვანა (მიზნებში მითითებულია მხოლოდ სარკინიგზო ტრანსპორტთან დაკავშირებული ასპექტები მაშინ, როდესაც შინაარსში ცალცალკეა განხილული სარკინიგზო და საავტომობილო ტრანსპორტის თემატიკა).

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

1. სასურველია პროგრამის საგნობრივ დატვირთვაში და სილაბუსში მითითებული საბაკალავრო ნაშრომის წინაპირობები მოყვანილი იქნას შესაბამისობაში.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში)**

-

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

-

**შეფასება**

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება**

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

წარმოდგენილი დოკუმენტაციის განხილვისა და ინტერვიუების შედეგიდან ნათლად ჩანს, რომ პროგრამა სრულად უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის პრაქტიკული, სამეცნიერო-კვლევითი, შემოქმედებითი და ტრანსფერული უნარების გამომუშავება-განვითარებას. სწავლის ძირითადი სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები ძირითადად დაფუძნებულია პრაქტიკულ და ლაბორატორიულ სწავლებაზე, რაც ხელს უწყობს სტუდენტთა პრაქტიკული და კვლევითი უნარების განვითარებას, ასევე რიგ შემთხვევაში თეორიულ მასალასთან ერთად მოიცავს საკურსო სამუშაოების შესრულებას, რაც სტუდენტს უვითარებს შემეცნებით უნარებს.

პრაქტიკის კომპონენტის განხორციელების მიზნით საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს ხელშეკრულება/მემორანდუმი სხვადასხვა ორგანიზაციებთან. სატრანსპორტო საწარმოო პრაქტიკა (6 კრედიტი) არის ძირითადი დამაკავშირებელი რგოლი სასწავლო პროცესსა და სტუდენტის მომავალ პროფესიულ საქმიანობას შორის, რომლის დროსაც სტუდენტი ურთიერთობაში შედის პროფესიონალებთან და იღებს პრაქტიკულ გამოცდილებას. პრაქტიკის ფარგლებში სტუდენტებს კურირებს პრაქტიკის ხელმძღვანელი, რომელსაც პრაქტიკის განმხორციელებელი ორგანიზაცია/კომპანია სპეციალურად გამოყოფს.

როგორც უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა, აკადემიურმა პერსონალმა და სტუდენტებმა ინტერვიუს დროს განაცხადეს, დაინტერესების შემთხვევაში სტუდენტებს შეუძლიათ მიიღონ მონაწილეობა სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებში, საუნივერსიტეტო, ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში. უნივერსიტეტში ყოველწლიურად ტარდება სტუდენტთა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია. ფაკულტეტებზე მუშაობს სექციები, სადაც მონაწილეობენ განათლების ყველა საფეხურის სტუდენტები - განათლების სამივე საფეხურის სტუდენტებისათვის ცალ-ცალკე ხდება გამარჯვებულების გამოვლენა კომპეტენტური ჟიურის მიერ. გამარჯვებული მოხსენებების თეზისები იბეჭდება კონფერენციის მასალებში, I, II, III ადგილზე გასულ სტუდენტებს გადაეცემათ დიპლომები, ყველა მონაწილე სტუდენტს, რომლებიც ვერ დაიკავებენ საპრიზო ადგილს, გადაეცემათ სიგელები. გარდა ამისა, ფაკულტეტების დეკანების ინიციატივით, გამარჯვებული სტუდენტები ფულადი ჯილდოებით წახალისდებიან.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

1. ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა „ტრანსპორტი“;
2. სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები);
3. პრაქტიკის ხელშეკრულებები/მემორანდუმები;
4. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. სტუდენტთა ღია საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია;
5. სტუ-ის სამეცნიერო კონფერენციები;
6. სტუ-ის ჟურნალი „ტრანსპორტი და მანქანათმშენებლობა“;
7. ინტერვიუები უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.

**რეკომენდაციები**

-

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

-

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში)**

-

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

-

**შეფასება**

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.5. სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

### სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სწავლების პროცესში რომელიმე კონკრეტული საკითხის შესწავლა შეუძლებელია მხოლოდ ერთი მეთოდითა და ერთი აქტივობით. სასწავლო კურსის განმახორციელებელს სწავლების პროცესში უხდება სხვადასხვა მეთოდის და აქტივობის გამოყენება, ასევე ხშირ შემთხვევაში ადგილი აქვს აქტივობათა შერწყმას. სწავლების პროცესში აქტივობები ერთმანეთს ავსებს. ლექციაზე, სემინარზე, ლაბორატორიულ, პრაქტიკულ მეცადინეობებზე, პრაქტიკაზე გამოსაყენებელი სწავლების მეთოდები შეირჩევა კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე. პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული სწავლება-სწავლის მეთოდები ადეკვატურია თითოეული სასწავლო კომპონენტისათვის, პასუხობს კურსის შინაარსსა და მიზნებს, აგრეთვე უზრუნველყოფს კურსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. სწავლება-სწავლის მეთოდების შესაბამისი აქტივობები ასახულია შესაბამის სასწავლო კურსის პროგრამებში (სილაბუსებში). თითოეულ სასწავლო კურსში სწავლება-სწავლის მეთოდები არის მოქნილი და მაქსიმალურად სტუდენტზე ორიენტირებული.

### მტკიცებულებები/ინდიკატორები

1. ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა „ტრანსპორტი“;
2. სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები);
3. სწავლა-სწავლების მეთოდები და შესაბამისი აქტივობები;
4. ინტერვიუები პროგრამის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან.

### რეკომენდაციები

-

### რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

### საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში)

-

### მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

### შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალ და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

### **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

პროგრამაში გამოყენებული სტუდენტის შეფასების სისტემა არის კანონმდებლობასთან შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი და სწავლის შედეგების ადეკვატური. შეფასება დადგენილი პროცედურების შესაბამისად ხორციელდება.

შეფასების კრიტერიუმები გაწერილია დეტალურად შესაბამის სილაბუსებში. სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება პროგრამის თითოეულ კომპონენტში მოიცავს შუალედურ და დასკვნით შეფასებას. შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) დასკვნითი შეფასების ხვედრითი წილი შეადგენს 40 ქულას, ხოლო შუალედური შეფასების ხვედრითი წილი - ჯამურად 60 ქულას, რომელიც თავის მხრივ მოიცავს შეფასების შემდეგ კომპონენტებს: სტუდენტის აქტივობა სემესტრის განმავლობაში - 30 ქულა; შუალედური გამოცდა - 30 ქულა. შეფასების შუალედურ და დასკვნით ფორმებში დადაგენილია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი (ხვედრითი წილი), რომელიც აისახება კონკრეტულ სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში. სილაბუსების შეფასების ნაწილში განსაზღვრულია ის ძირითადი შეფასების მეთოდები, რომლებიც გამოიყენება პროგრამის კომპონენტის/კურსის ფარგლებში. თითოეული სასწავლო კურსის შეფასების კომპონენტები და მეთოდები ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას და შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს.

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და გასაუბრების შედეგად (ინტერვიუებიდან) მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით დადგინდა, რომ პროგრამის განმახორციელებელი პერსონალისთვის ცნობილია შეფასების თანამედროვე მეთოდები და აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გაიარეს ტრენინგები. პროგრამის განმახორციელებელმა პერსონალმა აღნიშნა, რომ სტუდენტებს წინასწარ აცნობენ სასწავლო კურსის სილაბუსებში მითითებული შეფასების მეთოდებს, შეფასების კრიტერიუმებს და რუბრიკებს, აღნიშნულ საკითხზე დამატებით ინფორმაციას სტუდენტები ღებულობენ სილაბუსების მეშვეობით.

უნივერსიტეტში მოქმედი შეფასების გასაჩივრების მექანიზმი სტუდენტს აძლევს შესაძლებლობას სურვილის შემთხვევაში, გასაჩივრის მიღებული ქულა და მოითხოვოს ნაშრომის კიდევ ერთხელ გასწორება. როგორც სტუდენტებთან ინტერვიუების პროცესში გაირკვა, მსგავსი შემთხვევა არ ჰქონიათ და მიაჩნიათ, რომ ყოველთვის სამართლიანად ფასდებიან. სტუდენტები აკადემიური/მოწვეული პერსონალისგან იღებენ უკუკავშირს, ეცნობიან სწავლის შედეგებს, ძლიერ და გასაუმჯობესებელ მხარეებს როგორც უშუალოდ სასწავლო კურსების განმახორციელებელი პირებისგან, ასევე ადმინისტრაციული პერსონალისგან და ელექტრონული საშუალებებით.

პროგრამების შეფასების საფაკულტეტო კომისია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ერთად პერიოდულად ახორციელებს სასწავლო კურსების სწავლის შედეგების ანალიზს, რომლის საფუძველზე შეიმუშავენ სათანადო რეკომენდაციებს პროგრამაში განსახორციელებელი ცვლილებების შესახებ.

### **მტკიცებულებები/ინდიკატორები**

1. სასწავლო კურსის პროგრამების (სილაბუსები);
2. სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 27 დეკემბერი, 2691 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქცია;
3. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტთა პრაქტიკის ჩატარებისა და შეფასების წესი;
4. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის სისტემა;
5. უნივერსიტეტის ვებგვერდი;
6. ინტერვიუს შედეგები.

### **რეკომენდაციები**

-

### **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

1. სასურველია უფრო მეტად მოხდეს დიფერენცირება სილაბუსებში არსებული თეორიული და პრაქტიკული დავალების/ამოცანის შეფასების კრიტერიუმებში.

### **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში)**



-
<b>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</b>
-
<b>შეფასება</b>
<input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

### პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	<input checked="" type="checkbox"/>			

### 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

#### 3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.

#### სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამა ორიენტირებულია მაღალკვალიფიციური კადრის მომზადებაზე, რაც არა მხოლოდ ხორციელდება პროგრამის ფარგლებში, არამედ იმ დამატებითი საკონსულტაციო მომსახურების დახმარებით, რომელსაც უნივერსტეტი და თვითონ ფაკულტეტი უწევს ორგანიზებას. აღსანიშნავია, რომ ამ პროგრამას საკმაოდ დიდი ისტორია აქვს გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან, რაც, რა თქმა უნდა იმის დადასტურებაა, რომ ფაკულტეტს დიდი გამოცდილება აქვს. წლების განმავლობაში დაიხვეწა და შეიცვალა პროგრამის მიზნები, შედეგები და თვითონ შინაარსიც.

სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად სტუ-ში მოქმედებს საკონსულტაციო მომსახურება, ფუნქციონირებს კარიერული მხარდაჭერის სერვისი, სადაც სტუდენტები იღებენ შესაბამის კონსულტაციას და მხარდაჭერას დასაქმებასა და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით

ექსპერტებს გვქონდა საშუალება შევხედროდით (დისტანციურად ონლაინ რეჟიმში) სტუდენტებს, რომელთა უმრავლესობა დასაქმებულია. აღსანიშნავია, რომ მათი ნაწილი დასაქმდა

უნივერსიტეტის დახმარებით. უნივერსიტეტს აქვს თანამშრომლობა სხვადასხვა ორგანიზაციებთან. ხშირად, როდესაც სტუდენტი მიდის საწარმოო პრაქტიკაზე მას ტოვებენ სამუშაოდ. სტუდენტების ინტერვიუებიდან ჩანს, რომ ისინი კმაყოფილები არიან პროგრამით. ერთ-ერთმა სტუდენტმა აღნიშნა, რომ პროგრამა ერთ-ერთი უნიკალურია ამიერკავკასიაში და თვლის, რომ ორიენტირებულია პრაქტიკაზე. თუმცა, იყვნენ სტუდენტები, რომლებმაც აღნიშნეს, რომ პროგრამის განსავითარებლად უმჯობესი იქნებოდა თუ პრაქტიკული კომპონენტი კიდევ უფრო გაძლიერდებოდა. სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ უნივერსიტეტში მიღებულ ცოდნა საკმარისია დასაქმებისათვის და ნაკლებად ჭირდებათ გადამზადება ამა თუ იმ მიმართულებით, რაც ასევე დადასტურებული იქნა დამსაქმებლებთან ინტერვიუების დროს. დამსაქმებლებს აქტიური ურთიერთობა აქვთ უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან და პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან. უნივერსიტეტმა წარმოადგინა კითხვარი, სადაც დამსაქმებლებმა პროგრამა დადებითად შეაფასეს, ხოლო ინტერვიუს დროს აღნიშნავდნენ, რომ პროგრამაში გათვალისწინებულია დამსაქმებლის მოთხოვნა. პროგრამის კურსდამთავრებულები, ვისთანაც ექსპერტებს გვეკონდა შეხვედრა, ყველა დასაქმებული იყო, რამოდენიმე მათგანი - უნივერსიტეტის დახმარებით, ზოგიერთი თვითონ სწავლის პროცესში დასაქმდა და უნივერსიტეტი ეხმარებოდა ინდივიდუალური გრაფიკით, რათა ხელი არ შეშლოდათ სწავლაში.

სტუ უზრუნველყოფს სტუდენტთა ინფორმირებას და მათ ჩართულობას საუნივერსიტეტო, ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებსა და ღონისძიებებში, რაც დადასტურებული იქნა სტუდენტების მიერ. ისინი პერმანენტულად იღებდნენ ინფორმაციას აღნიშნულ ღონისძიებებთან დაკავშირებით. თუმცა სტუდენტები და კურსდამთავრებულები, რომლებთანაც ექსპერტებს ქონდათ შეხვედრა, არცერთი არ ყოფილა გაცვლითი პროგრამის მონაწილე, მიუხედავად იმისა, რომ სტუ-ს ძალიან საინტერესო საერთაშორისო პროგრამები აქვს. მათ აღნიშნეს, რომ ისინი ვერ წავიდნენ პირადი მიზნების გამო, თუმცა აქვთ ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მათ ფაკულტეტზე სხვადასხვა დროს სტუდენტები მონაწილეობას იღებდნენ საერთაშორისო საგანმანათლებლო პროგრამებში.

სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ ისინი მონაწილეობას იღებენ გამოკითხვებში, აგრეთვე მათ აქვთ საშუალება ნებისმიერ დროს ნებისმიერ საკითხზე მიმართონ ფაკულტეტის ადმინისტრაციას წარმომხილები პრობლემის დაძლევაში. პროგრამის განმახორციელებლები და ფაკულტეტის წარმომადგენლები ორიენტირებულნი არიან სტუდენტის ინტერესებზე მათ მოთხოვნებსა თუ ინიციატივებზე.

უნივერსიტეტში პერმანენტულად ტარდება Job Fair, სტუდენტებს აქვთ საშუალება შეხვედნენ დამსაქმებელს და უშუალოდ მიიღონ ინფორმაცია ვაკანსიების შესახებ. ერთ-ერთი ძალიან მნიშვნელოვანი დამსაქმებელია „თეგეტა მოტორსი“. ვიზიტის დროს საშუალება გვეკონდა გვენახა „თეგეტა მოტორსის“ მხარდაჭერით შექმნილი ლაბორატორია, რამაც ნამდვილად მოახდინა შთაბეჭდილება ექსპერტებზე.

უნივერსიტეტს აქვს ძალიან მოქნილი ელექტრონული სისტემები, მაგალითად: E-learning და lectori.ge, სადაც სტუდენტებს აქვთ წვდომა ელექტრონულ წიგნებზე, სალექციო კურსებზე, სასწავლო მასალაზე და გამოცდების შედეგებზე.

უნივერსიტეტის ძალიან საინტერესო ინიციატივაა ახალი პლატფორმა GTU-tables, რომელსაც აქვს: ინტერფეისის ენის შეცვლის (ქართული, ინგლისური, რუსული); ლექტორის სახელისა და გვარის მიხედვით სასწავლო ცხრილის მოძებნის; ცხრილის დამახსოვრების; ცხრილის განახლების შესახებ ინფორმაციის მიღების; ლექციების განრიგის ავტომატური შეხსენების ფუნქციის დაყენების; ავტორიზებული მომხმარებლისთვის ცხრილის ავტომატურ რეჟიმში ჩვენების შესაძლებლობა

#### **მტკიცებულებები/ინდიკატორები**

1. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში;
2. ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა „ტრანსპორტი“;
3. სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის ვებგვერდი <https://gtu.ge/Stmm/>;
4. სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის დებულება;
5. კვლევის ანგარიში;

6. ინტერვიუები კურსდამთავრებულებთან, სტუდენტებთან, დამსაქმებლებთან და პროგრამის განმახორციელებლებთან;

7. სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის სისტემა;

**რეკომენდაციები**

-

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

-

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში)**

1. GTU-tables, რომელსაც აქვს: ინტერფეისის ენის შეცვლის (ქართული, ინგლისური, რუსული); ლექტორის სახელისა და გვარის მიხედვით სასწავლო ცხრილის მოძებნის; ცხრილის დამახსოვრების; ცხრილის განახლების შესახებ ინფორმაციის მიღების; ლექციების განრიგის ავტომატური შეხსენების ფუნქციის დაყენების; ავტორიზებული მომხმარებლისთვის ცხრილის ავტომატურ რეჟიმში ჩვენების შესაძლებლობა.

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

-

**შეფასება**

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა**

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

-

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

-

**რეკომენდაციები**

-

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

-

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

-

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

-

**შეფასება**

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა**

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
-----------	------------------------------	---------------------------------------	---	-------------------------------------

სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	☒			
---	---	--	--	--

#### 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

<p><b>4.1 ადამიანური რესურსი</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>➤ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;</li> <li>➤ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;</li> <li>➤ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;</li> <li>➤ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.</li> </ul> <p><b>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</b></p> <p>პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე აკადემიური და მოწვეული პერსონალი. აკადემიური პერსონალი შერჩეულია დია კონკურსის წესით, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების მოთხოვნების სრული დაცვით. აკადემიური პერსონალი შედგება პროფესორების, ასოცირებული პროფესორების და ასისტენტ პროფესორებისაგან, რომელთა კვალიფიკაცია შესაბამისობაშია კანონმდებლობისა და უსდ-ის შიდა რეგულაციებით დადგენილ სტანდარტებთან, აგრეთვე სრულად შეესაბამება აკრედიტაციის მიზნით წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის მიმართ უნივერსიტეტის მიერ წაყენებულ მოთხოვნებს. პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის მაღალი კვალიფიკაცია დასტურდება მათ მიერ ბოლო 5 წლის განმავლობაში შესრულებული კვლევითი საქმიანობით, ადგილობრივ და საერთაშორისო გრანტებში მონაწილეობით, ტრენინგებში, საერთაშორისო და ადგილობრივ სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობით და მაღალრეიტინგულ საერთაშორისო ჟურნალებში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომებით. პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესიული განვითარების ცენტრში გადიან სხვადასხვა ტრენინგ და კვალიფიკაციის ამაღლების კურსებს.</p> <p>პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას, სამეცნიერო-კვლევითი და სხვა დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა ადეკვატურია სტუდენტების რაოდენობასთან, შეესაბამება პროგრამით გათვალისწინებულ დატვირთვას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის თანაფარდობა (60:6) უზრუნველყოფს პროგრამის</p>
---

მდგრადობას.

პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისა და განხორციელებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, 2018 წლიდან ხელმძღვანელობს ამ პროგრამას, მინიჭებული აქვს სახელმწიფო პრემია მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში. პროგრამის ხელმძღვანელი მონაწილეობდა რამდენიმე საგრანტო პროექტში, არის შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდის მიერ ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტის მოსაპოვებლად 2019 წელს გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებული პროექტის (FR-19-16238) ხელმძღვანელი. აღსანიშნავია, რომ პროექტის ძირითადი შემსრულებლებიც იმავე აკადემიური დეპარტამენტის („საავტომობილო ტრანსპორტი“) თანამშრომლები არიან.

პროგრამა ხორციელდება უნივერსიტეტისა და სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის ხელშეწყობით. დამხმარე პერსონალი ჩართულია ლაბორატორიულ და პრაქტიკულ საქმიანობაში.

#### მტკიცებულებები/ინდიკატორები

1. აკადემიური, მოწვეული პერსონალის CV, დიპლომები, შრომების სია;
2. აკადემიური, მოწვეული პერსონალის კონფერენციებში მონაწილეობა;
3. აკადემიური პერსონალის სხვადასხვა ტრენინგებში მონაწილეობის სერტიფიკატები;
4. აკადემიური პერსონალის შრომითი და აფილირების ხელშეკრულებები;
5. სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის დებულება;
6. პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია;
7. აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვები;
8. სტუდენტთა კონტინენტის ფორმირებისა და მობილობის ინსტრუქცია.

#### რეკომენდაციები

-

#### რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

#### საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში)

-

#### მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

#### შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

#### 4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

#### სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტში დასაქმებული პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების, საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი პროცესის ეფექტიანად წარმართვის ხელშეწყობისათვის შემუშავებულია პერსონალის განვითარებაზე ორიენტირებული „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა და სტრატეგია“. უნივერსიტეტის სტრატეგიიდან (სტრატეგიული გეგმა 2018-2024 „ხარისხზე ორიენტირებული საგანმანათლებლო და

სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განვითარება“ და „ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა“) გამომდინარე, თითოეულ თანამშრომელს ეძლევა საკუთარი პოტენციალისა და მისწრაფებების რეალიზების შესაძლებლობა. უნივერსიტეტი ატარებს პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის შეფასებისა და კმაყოფილების კვლევას, იყენებს შეფასებისა და კვლევის შედეგების ანალიზს აკადემიური და სამეცნიერო პროფესიული განვითარებისთვის.

აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის განვითარების მიზნით უნივერსიტეტში შექმნილია პროფესიული განვითარების ცენტრი, სადაც პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალი გადის ტრენინგებს კარიერის დაგეგმვაში, სწავლა-სწავლებისა და სწავლის შედეგების შეფასების თანამედროვე მეთოდოლოგიებში და სხვა.

აკადემიური პერსონალის მიერ ჩატარებული მეცადინეობების ხარისხის და საგანმანათლებლო პროგრამებთან შესაბამისობის შეფასებას ახდენს საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების საფაკულტეტო კომისია, რომელიც შედეგებს დადგენილი ფორმით წარუდგენს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს. შედეგები გადაეცემა უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს შემდგომი რეაგირებისათვის.

უნივერსიტეტი რიგ შემთხვევებში ფინანსურად უზრუნველყოფს და ხელს უწყობს აკადემიური პერსონალის ჩართულობას ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში, სემინარებში, ვორკშოპებში, ტრენინგებსა და გამოფენებში, ასევე, სამეცნიერო შემოქმედებითი ღონისძიებების ორგანიზებასა და ჩატარებაში, მონოგრაფიების, სახელმძღვანელოების, კვლევითი ნაშრომების და სხვა ბეჭდური მასალის გამოქვეყნებაში, რომელიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს პერსონალის კარიერულ განვითარებაზე.

სტუ-ში ყოველწლიურად ხორციელდება აკადემიური პერსონალის სამეცნიერო/კვლევითი მუშაობის შედეგების შეფასება თუ რამდენად აქტიურად არიან ჩართულნი საგანმანათლებლო და კვლევით საქმიანობაში. ეს საქმიანობა დასტურდება წარმოებულ კვლევებში, საგრანტო პროექტებში, სხვადასხვა ტრენინგებში და საერთაშორისო და ადგილობრივ კონფერენციებში, სიმპოზიუმებსა და სემინარებში მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტებით.

სტუ-ში და ფაკულტეტებზე ფუნქციონირებს სასწავლო და სამეცნიერო ლიტერატურის სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოები. მომზადებული სასწავლო-მეთოდური მუშაობის, ციფრული სალექციო კურსების მომზადებისა და პროგრამებთან მათი თავსებადობის შესახებ მომზადებული დასკვნა ეცნობა ავტორს. აღნიშნული აგრეთვე ემსახურება პერსონალის შეფასებას.

პროგრამების ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების სტიმულირება საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ხდება რამდენიმე მიმართულებით:

- პერსონალის სამსახურში მიღების (არჩევა/დანიშვნა) გამჭვირვალე და ობიექტურ პროცედურა, რომელიც უზრუნველყოფს კვალიფიციური კადრების მოზიდვასა და დასაქმებას;
- სტუ-ის აკადემიურ თანამდებობაზე გამოცხადებულ საკონკურსო პირობებში მოთხოვნები დაბალანსებულია და გამორიცხავს პერსონალის მიერ პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვის გარეშე არჩევნებში წარმატებას და აკადემიური თანამდებობების დაკავების შესაძლებლობას;
- თანამშრომელთა შერჩევისას დასაქმების მსურველთან გასაუბრება, შესაბამისად საკვალიფიკაციო მოთხოვნების განსაზღვრა, განათლების დონე და სფერო, პროფესიული ცოდნა, კონკრეტულ სფეროში მუშაობის გამოცდილება, უნარ-ჩვევები და პიროვნული მახასიათებლები;
- პერსონალის წახალისების მიზნით სტუ-ში მოქმედებს აკადემიურ, მოწვეულ და მასწავლებელთა პერსონალზე სახელფასო დანამატის (ბონუსის) გაცემის წესი, რომლის კრიტერიუმები გულისხმობს პერსონალის პროფესიული განვითარების მოტივაციას;
- სტუ-ში ხელშეწყობილია აკადემიური-სამეცნიერო პერსონალის აქტიური ჩართულობა ადგილობრივი და საერთაშორისო კონფერენციების, სემინარების, ვორკშოპების, ტრენინგების, გამოფენების და სხვა სამეცნიერო შემოქმედებითი ღონისძიებების ორგანიზება-მუშაობაში, მონოგრაფიების, სახელმძღვანელოების, კვლევითი სტატიების და სხვა ბეჭდური მასალის გამოქვეყნებაში. აღნიშნული აქტივობების არსებობა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს პერსონ-

<p>ნალის კარიერულ ზრდაზე და შესაბამისად ფიქსირდება მზარდი აქტივობა მათი მხრიდან.</p> <p>აკადემიური პერსონალის მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელების ხელშეწყობის მიზნით შექმნილია ყველა აუცილებელი პირობა. პროგრამაში ჩართული პერსონალი სისტემატიურად იმაღლებს კვალიფიკაციას და მონაწილეობს კვლევებში საერთაშორისო პროექტებში და კონფერენციებში.</p>
<p><b>მტკიცებულებები/ინდიკატორები</b></p> <ol style="list-style-type: none"> <li>აკადემიური/მოწვეული პერსონალის CV, სამეცნიერო შრომები და კონფერენციებში მონაწილეობის მონაცემები;</li> <li>სტუ-ის სამეცნიერო მუშაობის ანგარიშები;</li> <li>სტუ-ის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა და სტრატეგია;</li> <li>აკადემიურ, მოწვეულ და მასწავლებელთა პერსონალზე სახელფასო დანამატის (ბონუსის) გაცემის წესი;</li> <li>„სტუ-ის პროფესორ-მასწავლებელთა შეფასების სისტემისა და რეაგირების შესახებ“ სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2011 წლის 27 სექტემბრის № 531 დადგენილება.</li> </ol>
<p><b>რეკომენდაციები</b></p> <p>-</p>
<p><b>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</b></p> <p>-</p>
<p><b>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში)</b></p> <p>-</p>
<p><b>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</b></p> <p>-</p>
<p><b>შეფასება</b></p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

<p><b>4.3 მატერიალური რესურსი</b></p> <p>პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.</p>
<p><b>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</b></p> <p>სტუ-ს და ფაკულტეტის მატერიალური-ტექნიკური ბაზა (აუდიტორიები, ლაბორატორიები, სასწავლო ინვენტარი, სააქტო დარბაზები, არქივი, ბიბლიოთეკა, ინტერნეტის ქსელში ჩართული კომპიუტერული ცენტრები და კლასები, შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფები) რაოდენობრივად და ხარისხობრივად უზრუნველყოფს პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას.</p> <p>ბიბლიოთეკის ბეჭდური და ციფრულ მატარებლებზე არსებული ფონდი განახლებადია დარგის სიახლეების კვალდაკვალ და უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში დანერგილია ინტეგრირებული საბიბლიოთეკო სისტემა "KOHA", რომლის საშუალებითაც შესაძლებელია ბიბლიოთეკაში არსებული როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონული ლიტერატურის მოძიება. პერსონალისთვის ხელმისაწვდომია საერთაშორისო ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზები (Scopus), რომლებიც საშუალებას აძლევენ გაეცნონ უახლეს სამეცნიერო მონაცემებს. ბიბლიოთეკის პერსონალი უზრუნველყოფს სტუდენტებისა და პერსონალისთვის ბიბლიოთეკის რესურსებთან და სერვისებთან და-</p>

კავშირებით ინფორმაციის მიწოდებას ხელმისაწვდომია დარგის უახლესი გამოცემები. ლაბორატორიული სივრციდან პროგრამის სასწავლო პროცესისათვის გამოყენებულია:

- სარკინიგზო ავტომატიკისა და ტელემექანიკის ლაბორატორია;
- რკინიგზის საექსპლუატაციო მუშაობის ლაბორატორია სიმულატორი;
- შიგაწვის ძრავების ლაბორატორია;
- ავტომობილის შასის ლაბორატორია;
- ავტომობილების ტექნიკური მომსახურების ლაბორატორია;
- საექსპლუატაციო მასალების ლაბორატორია;
- კომპიუტერული კლასები.

სტუდენტებისათვის და პერსონალისთვის ხელმისაწვდომია კავკასიის რეგიონში უნიკალური ტრანსპორტის მოდელირებისა და სიმულაციის ლაბორატორია ლიცენზირებული პროგრამული უზრუნველყოფით და საპრეზენტაციო აუდიო-ვიდეო მასალით.

პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური რესურსის დათვალისერებისას დაფიქსირდა, რომ მატერიალურ-ტექნიკური ბაზის (სასწავლო აუდიტორიების, ლაბორატორიების და აღურვილობების) ნაწილი არის მოძველებული. მაგალითად, სატრანსპორტო ძრავების ლაბორატორიაში მოძველებულია ტექნიკური საშუალებები, არ არის დაცული შრომისა და უსაფრთხოების წესები, ლაბორატორიის ინტერიერი საჭიროებს შეკეთებას. აღნიშნულს აცნობიერებს ფაკულტეტის ხელმძღვანელობა და მომავალში გეგმავს დამატებით მოახდინოს სასაწავლო-კვლევითი ლაბორატორიების ინფრასტრუქტურის შემდგომი მოდერნიზება.

ადმინისტრაციასთან ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ მატერიალურ ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების მიზნით გერმანიის ქალაქ ვისრამის უნივერსიტეტთან მიმდინარეობს აქტიური სამუშაო ურთიერთობა. "ERASMUS+"-ის პროგრამის ფარგლებში იტალიური მხარის მხარდაჭერით იქნა შექმნილი თანამედროვე მიკრო- და მაკრო- სიმულაციური მოდელირების პროგრამები როგორცაა PTV VISSIM, VISUM და VISTRO. აღნიშნული პროგრამები ფართოდ გამოიყენება წამყვან ევროპულ ქვეყნებში, როგორც ურბანულ დონეზე სტატიკური მოდელირებისთვის ასევე ნებისმიერი სატრანსპორტო-საინჟინრო ჰიპოთეზის განსახორციელებლად.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

1. სტუ-ის და ფაკულტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა;
2. სტუ-ის ცენტრალური ბიბლიოთეკა;
3. საბიბლიოთეკო სისტემა "KOHA";
4. სამეცნიერო მონაცემთა ბაზები;
5. ლაბორატორიული ბაზის ვიზუალური დათვალიერება.

**რეკომენდაციები**

1. უნივერსიტეტმა უზრუნველყოს მოძველებული მატერიალურ-ტექნიკური რესურსის განახლება და ლაბორატორიები აღჭურვოს შრომისა და უსაფრთხოებისათვის საჭირო ელემენტებით.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

-

**საუეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში)**

-

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

-

**შეფასება**

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან



**4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა**

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

სტუ-ის სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის ბიუჯეტი უნივერსიტეტის ბიუჯეტის განუყოფელი ნაწილია, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) მიერ, სადაც გათვალისწინებულია პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა და მხარდაჭერა. ბიუჯეტში გათვალისწინებულია პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შრომის ანაზღაურების და სხვ. აქტივობების ხარჯები. ბიუჯეტში გაწერილია როგორც პერიოდული, ასევე ერთჯერადი ხარჯები. არსებობს პროგრამის ბიუჯეტი, რომლითაც დასტურდება, რომ პროგრამა ფინანსურად მდგრადია.

უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ხელმძღვანელობასთან ინტერვიუს დროს გაირკვა, რომ მისაღები კონტიგენტის შემცირებით გამოწვეული პროგრამის ფინანსური მდგრადობის რისკების შემთხვევაში საუნივერსიტეტო და საფაკულტეტო ბიუჯეტიდან პროგრამის განხორციელებისთვის გამოყოფილი იქნება სათანადო ფინანსური რესურსი, რადგანაც ტრანსპორტის მიმართულება მიიჩნევა პერსპექტიულად. აგრეთვე, მოძიებულია საზღვარგარეთ პარტნიორი დაწესებულება, სადაც საგრანტო პროექტის ფარგლებში შეძენილი იქნება თანამედროვე ლაბორატორიული მოწყობილობები. სასურველია მოზიდული შემოსავლებიდან ფინანსების საჭირო რაოდენობა მიმართული იყოს პროგრამის მდგრადობის/განვითარების ხარჯებზე, რათა მოხდეს ლაბორატორიების და კომპიუტერული კლასების შესყიდვა/მოწყობა, საბიბლიოთეკო ფონდის განახლება, ინფრასტრუქტურის განახლება, და სხვ. ყოველივე აღნიშნული გააუმჯობესებს ყველა პროგრამისთვის გამოყენებული რესურსების მდგრადობას.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიუჯეტი;
2. სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის ბიუჯეტი;
3. პროგრამის ბიუჯეტი;
4. საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასების და განვითარების წესი.

**რეკომენდაციები**

-

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

1. პროგრამის განვითარების მიზნით სასურველია უნივერსიტეტმა განახორციელოს მეტი აქტივობა დაფინანსების დამატებითი წყაროების მოძიებისათვის;

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში)**

-

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

-

**შეფასება**

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა**

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია	ნაწილობრივ შესაბამისობაშია	არ არის შესაბამისობაში
-----------	------------------------------	--------------------------	----------------------------	------------------------

		მოთხოვნებთან	მოთხოვნებთან	მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	☒			

## 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

### 5.1. შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

#### სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ხარისხის უზრუნველყოფისა და პროგრამის შეფასების მიზნით უნივერსიტეტში გამოიყენება აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული ძირითადი სახელმძღვანელო დოკუმენტები:

- „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები“ (აკადემიური საბჭოს №01-05-04/108, 17.04.2018 დადგენილების დანართი), რომლის თანახმად, ხარისხი არის ობიექტის (მაგ., საქმიანობა, პროცესი, გაწეული მომსახურება, სხვ.) მახასიათებლების შესაბამისობის დონე დადგენილ მოთხოვნებთან. ამ დოკუმენტის თანახმად, უნივერსიტეტის პოლიტიკა ხარისხის უზრუნველყოფის სფეროში ორიენტირებულია ISO 9000 სერიის სტანდარტებთან და ESG-2015-ის („ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტები და სახელმძღვანელო პრინციპები ევროპის უმაღლესი განათლების სივრცეში“) სახელმძღვანელო პრინციპებთან შესაბამისობის უზრუნველყოფაზე. სისტემის განვითარება ხდება ხარისხის მართვის პრინციპების შესაბამისად, ე. წ. PDCA ციკლის მიხედვით. დოკუმენტში დეტალურად არის აღწერილი: 1) ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმის შემუშავების პრინციპები (1.1. მომხმარებელზე ორიენტაცია, 1.2. ხელმძღვანელობის ლიდერობა, 1.3. თანამშრომელთა ჩართულობა, 1.4. მუდმივი გაუმჯობესება, 1.5. გადაწყვეტილებების მიღება ფაქტებისა და მონაცემების საფუძველზე, 1.6. ურთიერთსასარგებლო ურთიერთობა პარტნიორებთან) და 2) ხარისხის შიდა უზრუნველყოფის სტანდარტები (2.1. ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა, 2.2. პროგრამების შემუშავება და დამტკიცება, 2.3. სტუდენტზე ორიენტირებული სწავლა, სწავლება და შეფასება, 2.4. სტუდენტის მიღება, პროგრესია, აღიარება და სერტიფიცირება, 2.5. მასწავლებლები/ლექტორები, 2.6. სასწავლო რესურსები და სტუდენტების მხარდაჭერა, 2.7. ინფორმაციის მენეჯმენტი, 2.8. საჯარო ინფორმაცია, 2.9. მიმდინარე მონიტორინგი და პროგრამების პერიოდული შეფასება, 2.10. ხარისხის პერიოდული გარე უზრუნველყოფა).
- „საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების წესი“ (აკადემიური საბჭოს №01-05-04/261, 23.09.2019 დადგენილების დანართი), რომელიც არეგულირებს საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, შეფასების და განვითარების პროცესებს, ადგენს პროგრამის შემუშავებისას გასათვალისწინებელ ასპექტებს (პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, მიზნები, შედეგები, მოცულობა კრედიტებში, სწავლების ენა, სწავლის შედეგების მიღწევის (სწავლება-სწავლის) მეთოდები, სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემა, პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური და მატერიალური რესურსი, პროგრამის მდგრადობის შეფასება, სხვ.) და პროგრამის შეფასებისა და განვითარების პროცესში შეფა-

სების კრიტერიუმებს.

პროგრამების შეფასების მიზნით იქმნება საფაკულტეტო კომისიები (უნივერსიტეტის რექტორის ბრძანება (№01-09-10/273, 17.11.2019; MES520001170216, 08.12.2020). ამ კომისიის წევრები არიან ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი, საგანმანათლებლო პროგრამების კურატორები, დეპარტამენტების უფროსები, აკადემიური პერსონალი და სტუდენტები. პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფისა და შეფასების პროცესის ორგანიზებისათვის გამოიყენება უნივერსიტეტში მოქმედი დოკუმენტი „სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები“, რომელიც ადგენს შეფასებაში ჩართული სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციებს, პროგრამის ხარისხის შეფასების და განვითარების ეტაპებს, პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების ციკლს და პროცესების თანმიმდევრობას. ამავე დოკუმენტის გამოყენებით დგინდება პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობა; სასწავლო კურსები, რომლითაც ფასდება სწავლის შედეგის მიღწევა, და პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისობა სასწავლო კურსების სწავლის შედეგებთან; შეფასების ინდიკატორები, ინსტრუმენტები და სხვ. აკრედიტაციის სტანდარტებზე დაყრდნობით შემუშავებულია სამოქმედო გეგმა (სქემა), რომელშიც განსაზღვრულია შესამოწმებელი/შესაფასებელი ასპექტები, შეფასების კრიტერიუმები, ინდიკატორები/მტკიცებულებები, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შესასრულებელი დავალებები, წარსადგენი დოკუმენტაცია და პერიოდულობა. პროგრამის შეფასების და ხარისხის უზრუნველყოფის ერთ-ერთ მაქანიზმად გამოიყენება დაინტერესებული მხარეების დამოკიდებულებების კვლევა (დამსაქმებლების, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის, სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების გამოკითხვები).

მიუხედავად გამართული ხარისხის უზრუნველყოფის თეორიული საფუძვლებისა, წარმოდგენილი დოკუმენტების და ინფორმაციის შესწავლის, მატერიალურ-ტექნიკური რესურსების ვიზუალური დათვალიერებისა და ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული გასაუბრებების შედეგად გამოიკვეთა გასაუმჯობესებელი - ძირითადად, მოქმედი რეგულაციების იმპლემენტაციასთან დაკავშირებული და პროგრამის განხორციელებისა და განვითარების შესაძლებლობებზე გავლენის მქონე ასპექტი. კერძოდ: შეფასების პროცესში ხდება ცალკეული ასპექტების შესწავლა, რაც არ იძლევა შეფასების შედეგებზე სწორი რეაგირების, რემონტ-დაცემების და შესრულების კონტროლის შესაძლებლობას. აუცილებელია პროგრამის ეფექტიანობის და მდგრადობის მრავალმხრივი კომპლექსური შეფასება-ანალიზი (მათ შორის, პროგრამის ძლიერი და სუსტი მხარეები, რესურსების საკმარისობა და ხარისხი, პრობლემური/გასაუმჯობესებელი ასპექტები, რისკები, პროგრამის განვითარების შესაძლებლობები/მექანიზმები; პროგრამის ხელმძღვანელის/ხელმძღვანელების მიერ პროგრამის შეფასება; უცხოეთის უსდ-ების ანალოგიურ პროგრამებთან შედარება, სხვ.). პროგრამის განხორციელების მარეგულირებელი დოკუმენტების შესწავლისას გამოიკვეთა კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით რამდენიმე საუნივერსიტეტო რეგულაციაში ცალკეული ცვლილებების აუცილებლობა.

ზემოთ აღნიშნული გარემოებები გახდა დასკვნის პროექტში მითითებული 2 რეკომენდაციის საფუძველი:

- რეკომენდაცია #4 (აუცილებელია მოხდეს პროგრამის ხარისხის შეფასებისა და განვითარების პროცესების მომწესრიგებელი რეგულაციების სრული იმპლემენტაცია, განსაკუთრებით პროგრამის მდგრადობისა და ეფექტიანობის სისტემატური და კომპლექსური შეფასება-ანალიზის მიმართულებით) - უნივერსიტეტს აქვს გამართული ხარისხის უზრუნველყოფის თეორიული საფუძვლები, გასაუმჯობესებელ ასპექტს კი წარმოადგენს მოქმედი რეგულაციების არასრული იმპლემენტაცია (მათ შორის, პროგრამის ეფექტიანობის და მდგრადობის მრავალმხრივი კომპლექსური შეფასება-ანალიზის, პროგრამის ძლიერი და სუსტი მხარეების, პრობლემური/გასაუმჯობესებელი ასპექტების რისკების, პროგრამის განვითარების შესაძლებლობების/მექანიზმების, პროგრამის დინამიკის, უცხოეთის უსდ-ების ანალოგიურ პროგრამებთან დადარების, მიღებული შედეგების გამოყენების მიმართულებით). რეკომენდა-

ცია შესრულებული იქნება, თუ შემდგომში, შიდა შეფასების (პროგრამის მონიტორინგის და პერიოდული შეფასების) პროცესში, დაწესებულება მოახდენს ყველა მის მიერ დადგენილი მიდგომისა და მექანიზმის გამოყენებას. ამ მოსაზრების საფუძველს წარმოადგენს როგორც დაწესებულების რეგულაციებში აღწერილი ხარისხის უზრუნველყოფის რელევანტური მექანიზმები და პროცედურები, ისე დაწესებულების არგუმენტირებულ პასუხში დაფიქსირებული მზაობა გაითვალისწინოს წინამდებარე ქვესტანდარტის რეკომენდაცია პროგრამის შიდა შეფასების და განვითარების პროცესთან დაკავშირებით. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, დასკვნის პროექტში მითითებულია რეკომენდაცია #5 ნაწილობრივ გადატანილია 5.3. ქვესტანდარტის რეკომენდაციის ნაწილში, ნაწილი კი - წინამდებარე ქვესტანდარტის პროგრამის განვითარებისთვის რჩევების ნაწილში, თუმცა ქვესტანდარტის შეფასება დარჩა უცვლელი, რადგან ამ ეტაპზე სრული შესაბამისობა დადასტურებული არ არის.

- რეკომენდაცია #5 *(კანონმდებლობასთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია ცვლილებების შეტანა უნივერსიტეტში მოქმედ „სტუდენტთა კონტინგენტის ფორმირებისა და მობილობის ინსტრუქციაში“ (განათლების აღიარებასთან დაკავშირებულ ჩანაწერში) - ექსპერტთა ჯგუფი ეჭვქვეშ არ აყენებს უნივერსიტეტში მიმდინარე საგანმანათლებლო, სამეცნიერო-კვლევითი, ადმინისტრაციული და სხვა პროცესების განხორციელებას მოქმედ კანონმდებლობასთან სრული შესაბამისობით. რეკომენდაცია გულისხმობს არა უნივერსიტეტის საქმიანობის შეუსაბამოდ განხორციელებას, არამედ მითითებულ საუნივერსიტეტო რეგულაციაში კონკრეტული ჩანაწერების კორექტირების საჭიროებას უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონთან (მ.50<sup>1</sup>, პ.2) შესაბამისობაში მოყვანის მიზნით აუცილებელია უნივერსიტეტის მოქმედ დოკუმენტში „სტუდენტთა კონტინგენტის ფორმირებისა და მობილობის ინსტრუქციაში“ (მ.3., პ.3.18) შიგვალის ჩანაწერი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის კრედიტების აღიარების შესაძლებლობის შესახებ). არგუმენტირებულ პასუხში დაწესებულება განმარტავს, რომ იზიარებს რეკომენდაციას და აქტიურად ახორციელებს საუნივერსიტეტო რეგულაციების განახლებას. თუმცა, ამ ეტაპზე არსებული რეკომენდაცია დარჩა უცვლელი.*

ასევე, მიზანშეწონილია დაკორექტირდეს უნივერსიტეტის რეგულაციებში (მაგ., „სტუ-ს სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვისა და მობილობის წესი“, მ.3, პ. 3.2, 3.7, 3.11, 3.12, 3.18, 3.22, 3.23 და ა.შ.) არსებული ჩანაწერები სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ მობილობის პროცესის ადმინისტრირების შესახებ.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

1. მატერიალური რესურსის ვიზუალური დათვალიერება;
2. ინტერვიუს შედეგები;
3. „საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების წესი“ (აკადემიური საბჭოს №01-05-04/261, 23.09.2019 დადგენილების დანართი);
4. „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები“ (აკადემიური საბჭოს №01-05-04/108, 17.04.2018 დადგენილების დანართი);
5. უნივერსიტეტის რექტორის ბრძანება (№01-09-10/273, 17.11. 2019 და MES520001170216, 08.12.2020) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების მიზნით საფაკულტეტო კომისიების შექმნის შესახებ;
6. სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის დოკუმენტი „სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები“;
7. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა და სტრატეგია;
8. სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტზე აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა (სქემა);
9. დამსაქმებლების, კურსდამთავრებულების, სტუდენტების კვლევის (გამოკითხვის) ანგარიშები;
10. სტუდენტთა კონტინგენტის ფორმირებისა და მობილობის ინსტრუქცია.

**რეკომენდაციები**

1. კანონმდებლობასთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია ცვლილებების შეტანა

უნივერსიტეტში მოქმედ „სტუდენტთა კონტინენტის ფორმირებისა და მობილობის ინსტრუქციაში“ (განათლების აღიარებასთან დაკავშირებულ ჩანაწერში).

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

1. პროგრამის ხარისხის შეფასებისა და განვითარების პროცესი უნდა მიმდინარეობდეს დაწესებულების რეგულაციებით გათვალისწინებული მიდგომებისა და მექანიზმების სრული გამოყენებით, განსაკუთრებით პროგრამის მდგრადობისა და ეფექტიანობის სისტემატური და კომპლექსური შეფასება-ანალიზის მიმართულებით.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში)**

-

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

-

**შეფასება**

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**5.2 გარე ხარისხის შეფასება**

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

პროგრამის თვითშეფასების ანგარიშში მითითებულია, რომ უნივერსიტეტის გარე შეფასებას ახორციელებს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2012 წლის 24 სექტემბრის N425 გადაწყვეტილებით ტრანსპორტის საბაკალავრო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭა აკრედიტაცია და გარე შეფასების შედეგები გამოიყენება ხარისხის უზრუნველყოფის და განვითარების მიზნით. ამავე დროს, არსებობს პროგრამის გარე შეფასება, რომელიც არ აისახა თვითშეფასების ანგარიშში, მაგრამ არის დოკუმენტურად დადასტურებული დარგობრივი ორიგანიზაციის („საქართველოს საერთაშორისო საავტომობილო გადაზიდვების ასოციაცია“) ოფიციალური წერილით. დარგობრივი ორიგანიზაციების წარმომადგენლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ ისინი მონაწილეობდნენ გამოკითხვებში, შეიმუშავეს რეკომენდაციები, განიხილეს პროგრამის პროექტი, რაც შემდგომ გახდა დადებითი შეფასებების საფუძველი. ასევე, პროგრამის შემუშავებაში და შეფასების პროცესში პარტნიორების ჩართულობის შესახებ ინტერვიუს პროცესში ისაუბრეს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებმა და პროგრამის განმახორციელებელმა პერსონალმა. თუმცა, არ დგინდება რამდენად რეგულარულად ხდებოდა პროგრამის გარე შეფასება აკრედიტაციის მიღების შემდგომ პერიოდში (2012-2020), როგორ იყო შეფასების პერიოდულობა, ვის მიერ და როგორ შეფასდა პროგრამა, მონაწილეობდნენ თუ არა პროგრამის გარე შეფასებაში უცხოეთის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები, რომლებიც ანალოგიურ პროგრამას ახორციელებენ, გარე შეფასების შედეგად რა რეკომენდაციები იყო შემუშავებული/გათვალისწინებული და ა.შ. მითითებული გარემოებები მნიშვნელოვანია პროგრამის თანმიმდევრული განვითარებისათვის, მაგ., პერიოდული გარე შეფასება უზრუნველყოფს სხვადასხვა წელს მიღწეული შედეგების შედარებას და პროგრამის პროგრესის დადგენას, გარე შეფასებაში უცხოეთის უსდ-ების მონაწილეობა ხელს შეუწყობს საუკეთესო პრაქტიკების გაცნობას, პროგრამების ჰარმონიზაციას და ინტერნაციონალიზაციის გაძლიერებას (მაგ., გაცვლითი პროგრამების განხორციელების შესაძლებლობას) და სხვ.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

1. უკუკავშირის ამსახველი მასალა („საქართველოს საერთაშორისო სავტომობილო გადაზიდვების ასოციაცია“);
2. ინტერვიუს შედეგები.

**რეკომენდაციები**

-

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

1. მიზანშეწონილია პროგრამის გარე შეფასება განხორციელდეს წინასწარ განსაზღვრული პერიოდულობით, ამ პროცესში როგორც დარგობრივი ორგანიზაციების, ისე უცხოეთის უსდ-ების ჩართულობით.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში)**

-

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

-

**შეფასება**

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება**

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

პროგრამის შეფასებას ახორციელებს რექტორის ბრძანებით (№01-09-10/273, 17.11. 2019 და MES520001170216, 08.12.2020) შექმნილი საფაკულტეტი კომისია (ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი, საგანმანათლებლო პროგრამების კურატორები, დეპარტამენტების უფროსები, აკადემიური პერსონალი, სტუდენტები). ამავე ბრძანებაში მითითებულია: კომისიის სხდომების პერიოდულობა (თითოეული სასწავლო წლის ყოველ სემესტრში - არანაკლებ 3 სხდომა, სადაც შეფასდება საგანმანათლებლო პროგრამები და სხვადასხვა პედაგოგების მიერ ჩატარებული მეცადინეობები); კომისიის სავალდებულო წევრები (მაგ., პროგრამის კურატორი და სტუდენტი) და პირ(ებ)ი, რომელიც შესაძლოა მოწვეულ იქნეს სხდომაზე (სფეროს ან საგნის სპეციალისტი, კურსდამთავრებული, დამსაქმებელი); პროგრამის სასწავლო და კვლევითი კომპონენტების შესრულების ხარისხის შეფასებისთვის ინფორმაციის მიღების გზები (კომისიის მიერ მეცადინეობებზე დასწრება, აუდიო-ვიდეო სისტემის ან/და შესაბამისი დოკუმენტების შესწავლა-ანალიზი); კომისიის მუშაობის შემაჯამებელი შედეგების ასახვის წესი (შემაჯამებელი ოქმი, რომელშიც საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების შემთხვევაში იწერება დასკვნა დადგენილ სტანდარტებთან და მოთხოვნებთან პროგრამის შესაბამისობის შესახებ) და სხვ. პროგრამის შეფასების პროცესის ეტაპები და მათი თანმიმდევრობა, შეფასებაში ჩართული სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები და სხვ. რეგულირდება დოკუმენტით „სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები“, რომლიც, ასევე, აღწერს პროგრამის ხარისხის შეფასების ერთწლიან ციკლს. პროგრამის შეფასების მექანიზმებში მოიაზრება პროგრამის შედეგების მიღწევის შეფასება (სამიზნე ნიშნულებთან პროგ-

რამის ათვისების შედეგების შედარება), ასევე პროგრამის შეფასება პირდაპირი და არაპირდაპირი კრიტერიუმებით, პროგრამის შეფასება სხვადასხვა რაოდენობრივი მაჩვენებლების გამოყენებით, აკადემიური და მოწვეული პერსონალის სწავლების ხარისხის შეფასება და სხვ. აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით გამოყენებულ სამუშაო გეგმაში (სქემაში) მითითებულია შესაბამისი/შესაფასებელი ასპექტები, შეფასების კრიტერიუმები, ინდიკატორები/მტკიცებულებები, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შესასრულებელი დავალებები, წარსადგენი დოკუმენტაცია და პერიოდულობა და სხვ. პროგრამის შეფასების მექანიზმებში მოიაზრება პროგრამის შედეგების მიღწევის შეფასება (სამიზნე ნიშნულებთან პროგრამის ათვისების შედეგების შედარება), ასევე პროგრამის შეფასება პირდაპირი და არაპირდაპირი კრიტერიუმებით, პროგრამის შეფასება სხვადასხვა რაოდენობრივი მაჩვენებლების გამოყენებით, აკადემიური და მოწვეული პერსონალის სწავლების ხარისხის შეფასება და სხვ.

ხარისხის შეფასების ერთ-ერთ მექანიზმად გამოიყენება კითხვარების მეშვეობით დაინტერესებულ მხარეთა (პროგრამის სტუდენტები, განმახორციელებლები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები) მოსაზრებების შესწავლა, რაც დასტურდება როგორც უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით, ისე გასაუბრების შედეგებით. ჩატარებული გამოკითხვებიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია მომავალში: 1) გაიზარდოს გამოკითხულთა რაოდენობა (სტუდენტები: სულ 204, გამოკითხულია 11; კურსდამთავრებულები: სულ 117, გამოკითხულია 9; დამსაქმებლები/პოტენციური დამსაქმებლები: სულ 8 თანამშრომლობის მემორანდუმი, გამოკითხულია 3), რაც გაზრდის ანალიზისთვის გამოყენებული ინფორმაციის მოცულობას და გამოკითხვების შედეგების ანალიზის ობიექტურობას; 2) გადაიხედოს კითხვარები ბაკალავრიატისთვის რელევანტური კითხვებისა და შესაძლო პასუხების ნაწილში (მაგ.: კითხვა: „რამდენად საკმარისია პროგრამაში კვლევითი კომპონენტი“ და შესაძლო პასუხი „საკმარისია/ნაწილობრივ/არ არის საკმარისი“ და ა.შ.). ექსპერტებთან გასაუბრების ფორმატში პროგრამის განმახორციელებელი პერსონალმა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელმა განმარტეს, რომ პროგრამის შეფასება ტარდებოდა სისტემატურად და მოიცავდა მეცადინეობების ხარისხის შემოწმებას და გამოკითხვებს, რაც, ასევე, დაადასტურეს სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა.

წინამდებარე ქვესტანდარტთან მიმართებაში აღსანიშნავია, რომ შესაბამისი ინფორმაციის ამსახველი დოკუმენტების არარსებობის გამო არ დგინდება 2012 წელს აკრედიტაციის მიღების შემდგომ პერიოდში: 1) პროგრამის პერიოდული დადარება უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით (მაგ., უცხოეთის რომელი უსდ-ების პროგრამებთან და რა პერიოდულობით ხდებოდა პროგრამის დადარება, როგორი იყო შესწავლის შედეგი, რა იყო გათვალისწინებული პროგრამაში და სხვ.); 2) პროგრამის გასაუმჯობესებლად მისი მდგრადობის და ეფექტიანობის შეფასების, მონიტორინგისა და ინფორმაციის (მათ შორის პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შეფასება/რეაგირების მიმართულებით) სისტემური შეგროვების, დამუშავების და კომპლექსური ანალიზის შედეგებისა და იმ მექანიზმების (მაგ., SWOT-ანალიზი, PDCA პრინციპი, სხვ.) გამოყენება, რომლებსაც თავად უნივერსიტეტი ხარისხის კონტროლის ეფექტიან მექანიზმად მიიჩნევს (იხ. „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა და სტრატეგია“, მ.3, პ.3.4).

ზემოთ აღნიშნული გარემოებები გახდა დასკვნის პროექტში მითითებული 2 რეკომენდაციის საფუძველი:

- რეკომენდაცია #6 (პერიოდულად უნდა მოხდეს პროგრამის დადარება უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით) - დასკვნის პროექტში არსებული რეკომენდაცია გაზიარებულია დაწესებულების მიერ და დარჩა უცვლელი.
- რეკომენდაცია #7 (სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით პერიოდულად)

ლად უნდა მოხდეს პროგრამის ყველა ასპექტის (მათ შორის, პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური რესურსის საკმარისობა, მდგომარეობა, უსაფრთხოოდ გამოყენების შესაძლებლობა) მრავალმხრივი და ობიექტური შეფასება, შედეგების ანალიზი, ასევე, გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით განხორციელებული შეფასების შედეგების ერთიან დოკუმენტში ასახვა და დაინტერესებული მხარეებისთვის გაცნობა) - დასკვნის პროექტში არსებულ ჩანაწერს დაემატა რეკომენდაცია დაწესებულებაში არსებული მიდგომებისა და მექანიზმების იმპლემენტაციის შესახებ, რაც შინაარსობრივად არ ცვლის უკვე არსებულ რეკომენდაციას და წარმოადგენს დაწესებულების მიერ გაზიარებული (5.1. ქვესტანდარტის) რეკომენდაციის ნაწილს. ასევე, უცვლელი რჩება პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ობიექტური შეფასების და რეაგირების შესახებ რეკომენდაცია, რომელსაც ეხება არა პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური რესურსის არარსებობას/არასაკმარისობას, არამედ მისი გამოყენების შესაძლებლობას (მაგ., სატრანსპორტო ძრავების ლაბორატორიის მდგომარეობა, რომელიც გამოირიცხავს უსაფრთხოდ მის გამოყენებას), რაც მიღწევადია ლაბორატორიული აღჭურვილობის განახლება-გაძლიერებით, შეფასების პროცესში შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის ჩართულობით და შესაბამისი სამუშაოების შესრულებით. საბოლოო სახით რეკომენდაცია ჩამოყალიბდა შემდეგნაირად: „ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით პერიოდულად უნდა მოხდეს პროგრამის ყველა ასპექტის (მათ შორის, პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური რესურსის საკმარისობის მდგომარეობის და უსაფრთხოოდ გამოყენების) კომპლექსური, მრავალმხრივი შეფასება, პროგრამის მდგრადობისა და ეფექტიანობის დადგენა, წლების მიხედვით პროგრესის შესწავლა-ანალიზი დაწესებულებაში არსებული მიდგომისა და მექანიზმების (მაგ., SWOT-ანალიზი, PDCA-პრინციპი და სხვ.) სრული გამოყენებით, რომლებსაც თავად დაწესებულება ხარისხის უზრუნველყოფის და კონტროლის ეფექტიან მექანიზმად მიიჩნევს. ასევე, გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით განხორციელებული შეფასების შედეგების ერთიან დოკუმენტში ასახვა და დაინტერესებული მხარეებისთვის გაცნობა“.

აქვე განვმარტავთ, რომ ექვექვე არ ვაყენებთ ზოგადად პროგრამის შეფასების ფაქტს. რეკომენდაცია გულისხმობს პროგრამის შეფასების პროცესში ყველა, დაწესებულების მიერვე ეფექტიანად მიჩნეული მექანიზმის გამოყენებას, რაც უზრუნველყოფს არამხოლოდ პროგრამის მრავალმხრივ (კომპლექსურ) შეფასებას, არამედ თავად დაწესებულების მიერ შემუშავებული რეგულაციების შესრულებას (მაგ., „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები“; „პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების და შეფასების წესი“, მ.4, პ.5; „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა და სტრატეგია“, მ.3, პ.3.4).

ზემოთ მითითებული გარემოებებიდან გამომდინარე, ქვესტანდარტის შეფასება დარჩა უცვლელი.

#### **მტკიცებულებები/ინდიკატორები**

1. მატერიალური რესურსის ვიზუალური დათვალიერება;
2. ინტერვიუს შედეგები;
3. „საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების წესი“ (აკადემიური საბჭოს №01-05-04/261, 23.09.2019 დადგენილების დანართი);
4. „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები“ (აკადემიური საბჭოს №01-05-04/108, 17.04.2018 დადგენილების დანართი);
5. უნივერსიტეტის რექტორის ბრძანება (№01-09-10/273, 17.11.2019 და MES520001170216, 08.12.2020) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების მიზნით საფაკულტეტო კომისიების შექმნის შესახებ;
6. სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტზე აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა (სქემა);
7. სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის დოკუმენტი „სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები“;
8. გამოკითხვის ანკეტები (დამსაქმებლები, კურსდამთავრებულები, პროგრამის განმახორციელებლები, სტუდენტები) და კვლევის (გამოკითხვის) ანგარიშები;
9. „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა და სტრატეგია“.



**რეკომენდაციები**

1. პერიოდულად უნდა მოხდეს პროგრამის დადარება უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან, თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობის მიზნით;
2. ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით პერიოდულად უნდა მოხდეს პროგრამის ყველა ასპექტის (მათ შორის, პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური რესურსის საკმარისობის, მდგომარეობის და უსაფრთხოოდ გამოყენების) კომპლექსური, მრავალმხრივი შეფასება, პროგრამის მდგრადობისა და ეფექტიანობის დადგენა, წლების მიხედვით პროგრესის შესწავლა-ანალიზი დაწესებულებაში არსებული მიდგომისა და მექანიზმების (მაგ., SWOT-ანალიზი, PDCA-პრინციპი და სხვ.) სრული გამოყენებით, რომლებსაც თავად დაწესებულება ხარისხის უზრუნველყოფის და კონტროლის ეფექტიან მექანიზმად მიიჩნევს. ასევე, გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით განხორციელებული შეფასების შედეგების ერთიან დოკუმენტში ასახვა და დაინტერესებული მხარეებისთვის გაცნობა.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

1. მიზანშეწონილია გაიზარდოს გამოკითხვებში მონაწილე პირთა რაოდენობა, ასევე გადაიხედოს კითხვარებში რესპოდენტებისათვის დასმული კითხვებისა და შესაძლო პასუხების ფორმულირება პროგრამის თავისებურებების გათვალისწინების მიზნით.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში)**

-

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

-

**შეფასება**

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა**

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები		☒		

**თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)**

არ ერთვის

**უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საჯარო სამართლის იურიდიული პირი

**უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება, საფეხური:**

„ტრანსპორტი“, ბაკალავრიატი

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 34

**პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა**

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	<input checked="" type="checkbox"/>			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	<input checked="" type="checkbox"/>			
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	<input checked="" type="checkbox"/>			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	<input checked="" type="checkbox"/>			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები		<input checked="" type="checkbox"/>		

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

სახელი, გვარი, ხელმოწერა - ჯუმბერ ჩოგოვაძე

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

სახელი, გვარი, ხელმოწერა - ზაზა ჟორჟოლიანი

სახელი, გვარი, ხელმოწერა - მხევერ გოგილავა

სახელი, გვარი, ხელმოწერა - თამარ გვიანიშვილი

სახელი, გვარი, ხელმოწერა - თამარ თავხელიძე

Handwritten signatures and stamps of the accreditation experts, including the names of the chairperson and members.